

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 10.

ქ.თბილისი

28.06.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

გია ტარიელაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შულრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - „ფარნავაზის“ დირექტორი - მადონა ოქროპირიძე;

შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის დირექტორი - ზურაბ თეთრუაშვილი;

შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი - მურმან გუგუშაშვილი;

შპს - საქართველოს ეროვნულ სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი - გიორგი ჭინჭარაული;

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი - ლაშა გოცირიძე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ ვეფხვაძე;



მარინა გედევანიშვილი;
ლელა ქელბაქიანი;
მარიამ დარბაიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19³⁰ სთ-ზე და შემოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - „ფარნავაზის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.


თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორმა - ბექა ძამაშვილმა წარმოადგინა ცენტრში შემოსული შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წერილობითი შუამდგომლობა, რომლითაც ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის გაცნობისა და შეპასუხების მომზადებისათვის საკმარისი დროის უქონლობის, აგრეთვე ხელმძღვანელის ოჯახური პირობების გამო მოთხოვნილია დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დაკმაყოფილდა შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შუამდგომლობა და აღინიშნა, რომ წარმოების 90 დღიანი ვადის დაცვის მიზნით ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარება 2011 წლის 11 ივლისამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. შპს - „ფარნავაზის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.



საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ფარნავაზის“ დირექტორს მადონა ოქროპირიძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „ფარნავაზის“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

1. შპს - „ფარნავაზის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ფარნავაზის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის არცერთ სართულზე არ არის დამონტაჟებული პანდუსი, თუმცა სკოლას აქვს დასაკეცი პანდუსი, რომელსაც, დირექტორის განმარტებით, დაამონტაჟებენ და გამოიყენებენ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ჩაირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

თავმჯდომარემ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს მისცა სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მადონა ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მეორე დღესვე დაწესებულებამ მისცა შეკვეთა, არსებობს შესაბამისი ხელშეკრულებაც, გადაირიცხა თანხები და დღეის მდგომარეობით პანდუსი ადგილზე არის დამონტაჟებული.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „ფარნავაზის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ფარნავაზისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0



გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ფარნავაზს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 318-ით.



საბჭოს თავმჯდომარემ შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის დირექტორს ზურაბ თეთრუაშვილს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

2. შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:


დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კატალოგი, სადაც მოცემულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების და შეფასების წესის შესახებ. თუმცა დოკუმენტში დაწესებულების შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული, გარდა სათაურისა, რომლის მიხედვითაც, ეს არის შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა. თუმცა არსებობს ბუკლეტი, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, მისანიჭებელი კვალიფიკაციებისა და პროგრამის ძირითადი არსი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, იყო თუ არა დაწესებულების ვებგვერდზე საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საინფორმაციო ბუკლეტები, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დადებითად უპასუხა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნის მთავარი მიზანია, ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი. თავის მხრივ, დაწესებულების სამეწარმეო დაინტერესებაც არსებობს, რომ მის შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყოს საზოგადოებისათვის.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა აზრის დაფიქსირება აღნიშნული ხარვეზის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. წევრების აზრით, სტანდარტის დარღვევა არ დასტურდება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელს დამატებითი განმარტების გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით არ სჭირდება.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - შიდა ქართლის პროფესიულ კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული კოლეჯის, სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 425-ით.



საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს მურმან გუგუშვილს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

3. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის 32/34-ში ფლობს შენობა - ნაგებობის მესამე და მეოთხე სართულებს (საერთო ფართობი 1309.74 კვ.მ.). დაწესებულება აღნიშნულ ფართის ფლობს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია 2011 წლის 31 იანვარს. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 10 წლით. საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ ფართსა და ტექნიკურ-დოკუმენტაციურ გამოკვლევაში მითითებულ ფართს შორის არის სხვაობა. კერძოდ, დაწესებულების ფლობაში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიქსირდება 1309.74 კვ.მ. (მესამე სართული: 654.88 კვ.მ; მე-4 სართული: 654.88 კვ.მ;). ტექნიკურ-დოკუმენტაციურ გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ შენობის შიდა პერიმეტრის ფართობი არის 1328.86 კვ.მ (მესამე სართული: 664.43 კვ.მ; მე-4 სართული: 664.43), ხოლო შიდა ფართობი 1186.84 კვ.მ (მე-3 სართული 593.42 კვ.მ; მე-4 სართული 593.42 კვ.მ.).

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა განსხვავებაა შიდა და გარე პერიმეტრის ფართობებს შორის.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, განსხვავება არის ფართობებს შორის კედლების სისქის გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის დროს.

საბჭოს წევრის, იოსებ სალუქვაძის, თქმით, სამართლებრივად საჯარო რეესტრის მონაცემები არის აუცილებლად გასათვალისწინებელი, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს მოსაზრებას საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.



საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის, სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 535-ით.



საბჭოს თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების რექტორმა - ლაშა გოცირიძემ, დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა თამარ შუდრამ. მისი თქმით, დაწესებულების სურვილია, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელოს აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ამიტომ წარმოადგინა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარები, რომელთა შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა დასკვნები.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

თამარ შუდრამ ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 დაწესებულებას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კურსზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. ხშირად მითითებულია გარემოებები, რომლებსაც ვერ ჩავთვლით წინაპირობად. კერძოდ, ზოგიერთ სილაბუსში კურსზე დაშვების წინაპირობად მითითებულია სტუდენტის მიერ ზოგადი საშუალო განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნა.

მაგალითად, სასწავლო კურსზე „მეფუტკრეობა“ (III კურსი, VII სემესტრი) დაშვების წინაპირობაა „საშუალო სკოლაში მიღებული ზოგადი ბიოლოგიური განათლება, ასევე ცხოველთა ფიზიოლოგიასა და კვებაში მიღებული ცოდნა“. სასწავლო კურსზე „მეცხოველეობა“ დაშვების წინაპირობაა „საშუალო სკოლაში მიღებული ბიოლოგიური განათლება“. ანალოგიური ვითარებაა სასწავლო კურსზე „ბოტანიკა“ (I სემესტრი). დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის სასწავლო კურსის „სანიტარული მიკრობიოლოგია“ სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია შემდეგი: „სანიტარული მიკრობიოლოგიის კურსის სრულყოფილად დაუფლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საჯარო სკოლიდან საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მიღებული ცოდნა“.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.



ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა ლაშა გოცირიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართული რეორგანიზაციისა და რეფორმების პროცესი. უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის მოსვლამდე დიდი მოცულობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. მიუხედავად ამისა, იმის თქმა, რომ ყველა ხარვეზი არის გასწორებული, მისი მხრიდან იქნებოდა უპასუხისმგებლო განცხადება. თუმცა ამ მოკლე პერიოდში იანვრიდან მასამდე მაქსიმალურად გამოასწორდა და დაალაგდა არსებული სიტუაცია. რაც შეეხება ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ ხარვეზს სასწავლო კურსის წინაპირობასთან დაკავშირებით, ლაშა გოცირიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნის მითითება ეხება იმ კურსებს, რომლებიც ისწავლება პირველი კურსის პირველ ან მეორე სემესტრში, შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მხრიდან არ არის მოლოდინი იმისა, რომ სტუდენტებს სხვა დამატებითი ცოდნა სჭირდებათ. თუმცა ასეთ შემთხვევაში აგრეთვე შესაძლებელია ჩაწერილიყო, რომ სასწავლო კურსს წინაპირობა არ გააჩნია.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ჩათვალა, რომ სასწავლო კურსის წინაპირობად აღნიშნული მოთხოვნის მითითება გულისხმობს, რომ სასწავლო კურსს წინაპირობა საერთოდ არ აქვს.

1.2 ზოგიერთ სილაბუსში კურსზე დაშვების წინაპირობა ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული. მაგალითად, სასწავლო კურსის „ტექნიკური კულტურები“ დაშვების წინაპირობად მითითებულია: „ბოტანიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, მემცენარეობის, მიწათმოქმედების, საკვებწარმოების და სხვა დარგის მეცნიერებათა მონაცემები“. სასწავლო კურსზე „ნიადაგმცოდნეობა გეოლოგიის საფუძვლებით“ (II კურსი, III სემესტრი) დაშვების წინაპირობაა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „ამ საგნის ჯეროვან დონეზე ათვისების წინაპირობაა სტუდენტი დაუფლებული იყოს ფუნდამენტურ დისციპლინებს და აგრონომიული მეცნიერების საფუძვლებს“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკულად ყველა სილაბუსში, სადაც ბუნდოვანი ჩანაწერი იყო სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ხარვეზები გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდა ვიზიტის დროს თუ ვიზიტის შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დღეის მდგომარეობით ყველა ხარვეზი გასწორებულია. ნაწილი მათგანი გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ხოლო ის ნაწილი, რომლის გასწორება ექსპერტთა ვიზიტის დროს ტექნიკურად ვერ მოხერხდა, გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ. თუმცა აღნიშნული საკითხები უფრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს განხილვის საგანია.

1.3 სასწავლო კურსის „ზოგადი მიწათმოქმედება“ (II კურსი, I სემესტრი) სილაბუსის მიხედვით, სწავლის შედეგი ასეთია: „თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება“. ასეთივეა სწავლის შედეგი სასწავლო კურსებში „მიწათმოქმედება“ (I კურსი, II სემესტრი), „აგროქიმია“ და „აგრონომიის საფუძვლები“. სასწავლო კურსის „მეაბრეშუმეობა“ სილაბუსი არ შეიცავს სწავლის შედეგებს. თუმცა რამდენადაც სილაბუსში „სტუდენტის საქმიანობა“ ორჯერ არის გამეორებული, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერთ-ერთი მათგანის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „სწავლის შედეგები“ და მისი გამორჩენა მექანიკური ხასიათისაა.



საბჭომ ჩათვალა, რომ სასწავლო კურს „მეაბრეშუმეობის“ სილაბუსში სწავლის შედეგები რეალურად მოცემულია, თუმცა სილაბუსის ნაწილის სათაური არის „სტუდენტის საქმიანობა“, ნაცვლად „სწავლის შედეგისა“, ამიტომ ეს საკითხი შეიძლება ტექნიკურ შეცდომად ჩაითვალოს და მოიხსნას.

1.4 ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე სასწავლო კურსის - „ინგლისური ენა“ - მიზნები მსგავსია - განსხვავება სრულად არ ასახავს სხვაობას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლის შედეგებს შორის.

საბჭომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში უნდა ეხელმძღვანელა უკვე დამკვიდრებული პრაქტიკით, კერძოდ, რამდენადაც ეს არ არის ინგლისური ფილოლოგია და არის სხვა პროგრამა, უცხო ენის სწავლებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი, პროფესიული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება უცხო ენაზე, ამდენადაც აღნიშნული ხარვეზს არ წარმოადგენს.

საბჭოს წევრ იოსებ სალუქვაძის განცხადებით, აღნიშნული შენიშვნა არ არის ავტორიზაციის ეტაპზე განსახილველი.

1.5 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსის „აგრარული ბაზრის მარკეტინგული კვლევის მეთოდები“ სილაბუსის სწავლის შედეგში არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა - „მომავალ მაგისტრს უნდა გამოუმუშავდეს სასურსათო ბაზრის ანალიზის, კვლევის... ა.შ.“

საბჭომ აღნიშნული ტექნიკური შეცდომა არ ჩათვალა არსებითად.

1.6 სასწავლო კურსების სილაბუსების გადამოწმებისას გამოიკვეთა, რომ არც ერთი სილაბუსი არ შეიცავს სწავლების მეთოდოლოგიას; სასწავლო თემატიკას არ დაერთვის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისთვის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა (ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ზოგადი სახით - სილაბუსების ბოლოს), შესაბამისად, ეს ლიტერატურა არ არის წარმოდგენილი გვერდების მითითებით. თუმცა, აღნიშნული უშუალოდ დაკავშირებულია სწავლის შედეგის მიღწევასთან და არის აკრედიტაციის სტანდარტი.

საბჭომ არ გაიზიარა შენიშვნა, კერძოდ, ჩათვალა, რომ სილაბუსში სასწავლო თემატიკისათვის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისთვის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მიუთითებლობა (გვერდების მითითებით), დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, არ მიიჩნევა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევად, რამდენადაც, აღნიშნული გათვალისწინებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის რეკომენდაციებით და არა ავტორიზაციის დებულებით. რეკომენდაციების დაცვა სასურველია, თუმცა არა - სავალდებულო. შესაბამისად ავტორიზაციის მისაღებად რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას.

1.7 უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (60 კრედიტი), რომელსაც თან ერთვის სასწავლო კურსები (სილაბუსები). აღნიშნული პროგრამის სილაბუსები წარმოდგენილია არასრული სახით (აკლია ერთი სასწავლო კურსის - „წერა“ - სილაბუსი).



დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ექსპერტთა შენიშვნის არსებობა არასწორი ან არასათანადო კომუნიკაციის ბრალით იყო გამოწვეული. ზოგადად, ყველა საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მტკიცდება, ერთვის შესაბამისი სილაბუსები. „ფუნქციური წერის“ სილაბუსი ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დამტკიცების დროს არსებობდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისათვის მის წარუდგენლობას დაწესებულების წარმომადგენლების დაუდევარი ან არასათანადო კომუნიკაციით არის გამოწვეული.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა წარმოადგინა სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 21 აპრილის სხდომის ოქმი, რომლითაც დამტკიცდა ეს პროგრამა. თავმჯდომარემ ითხოვა სხდომის ოქმის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფის წევრ თამარ ვეფხვაძესთან ერთად მოხდა წარმოდგენილი მასალის გადამოწმება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ქართული ენის სამეტყველო-საკომუნაციო ასპექტების შესწავლას. ეს ასპექტებია - მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. ვიზიტის მომენტისათვის „ფუნქციური წერის“ სილაბუსი არ იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა ადგილზე გადამოწმდა „ფუნქციური წერის“ სილაბუსი, რის შედეგადაც დადგინდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:


2.1 დაწესებულების მხოლოდ ერთ მისამართზე - თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. - არსებული ფართია აღჭურვილი მის საკუთრებაში არსებული სასწავლო ინვენტარით. მათ შორის, დაწესებულების ფართის ის ნაწილი, სადაც არ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები (მათ შორის აუდიტორიები და ლაბორატორიები), აღჭურვილია ძველი სასწავლო ინვენტარით. ხოლო იმ ფართისათვის, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რემონტის დასრულების შემდეგ დაწესებულება გეგმავს ახალი სასწავლო ინვენტარისა და ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენას და მათ განთავსებას სასწავლებლის ახალგარემონტებულ სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ შუდრას ჰკითხა, დაწესებულების გაურემონტებელ ნაწილში მიმდინარეობდა თუ არა საგანმანათლებლო საქმიანობა.

მომხსენებლის განმარტებით, დაწესებულების გაურემონტებელ ნაწილში საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს და, მატერიალური რესურსის მდგომარეობის გათვალისწინებით, განხორციელებადია. ამასთან, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 ივნისის №15-03/52 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2011-2012 სასწავლო წლის დაწყება.

2.2 ექსპერტთა ვიზიტის დროს უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა არ აღმოჩნდა (მათ შორის, არც იმ ნაწილში, სადაც სარემონტო სამუშაოები არ მიმდინარეობს).

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მატერიალური რესურსის დათვალისწინებისას ექსპერტთა ჯგუფმა თუ გამოიყენა ინტერვიუების მეთოდი და დაწესებულების პერსონალს გამოჰკითხა ევაკუაციის გეგმის შესახებ.



თამარ შუდრამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ამ ნაწილში დაეყრდნო მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების მეთოდს და დაწესებულების პერსონალისათვის ევაკუაციის გეგმასთან დაკავშირებით შეკითხვა არ დაუსვამთ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ვიზუალური დათვალიერება არის შემოწმების ჩატარების ერთ-ერთი მეთოდი, ასევე შესაძლებელი იყო, ექსპერტთა მიერ გამოყენებული ყოფილიყო ინტერვიუების მეთოდი, რის საფუძველზეც დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ, წარმოედგინათ ევაკუაციის გეგმა. ამდენად ამ ნაწილში თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებით სტანდარტთან შეუსაბამობა არ დასტურდება.

2.3 ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის, თუმცა უნივერსიტეტში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის პროექტში და ჩასატარებელ სამუშაოთა ნუსხაში გათვალისწინებულია ყველა ის მოთხოვნა, რის შესრულებაც ევალება არსებული ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებას იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დახმარებას. კერძოდ, ამ პროექტით გათვალისწინებულია 2 ლიფტის დამონტაჟება და პანდუსების მოწყობა. ამის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ - აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის წერილი, სადაც მითითებულია ლიფტებისა და პანდუსებისათვის გამოყოფილი ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოქვეყნა ა(ა)იპ - აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის წერილი, სადაც მითითებულია ლიფტებისა და პანდუსებისათვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობა. საბჭოს წევრების მოსაზრებით, რამდენადაც არსებობდა ასეთი შინაარსის წერილი, დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის სტრანდარტის დარღვევა არ მომხდარა.


2.4 დაწესებულების ვებგვერდზე <http://www.gsau.edu.ge> წარმოდგენილი დებულებების ბმულებიდან იხსნება მხოლოდ სამედიცინო პუნქტის დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდი და გამოვლინდა, რომ ვებგვერდზე განთავსებული აქტების ბმულები იხსნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ეთანხმებოდა თუ არა იგი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებას დაწესებულების ფართებთან დაკავშირებით - კერძოდ, სასწავლო ფართი - 18217,28 კვ.მ, დამხმარე ფართი - 6661.24 კვ.მ. ამ ფართებში იგულისხმება ის ფართიც, სადაც ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ლაშა გოცირიძემ განაცხადა, რომ იგი ექსპერტთა შეფასებას ეთანხმებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ფართების ამგვარი გაანგარიშების შემთხვევაში დაწესებულების სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 5470 სტუდენტით. თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1



ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისას მხედველობაში მიიღოს დაწესებულების ის ფართი, რომელშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა განმარტების მოთხოვნით, ვრცელდებოდა თუ არა აღნიშნული ჩანაწერის მოქმედება ავტორიზაციის საკითხის განხილვის დროსაც.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორის კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი ეხება მხოლოდ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას, ავტორიზაციის ნაწილში მსგავსი ჩანაწერი არ არის არც აკრძალვის და არც ნებართვის კუთხით.

ლამა გოცირიძის განმარტებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შეუძლია ნებისმიერ დროს ჩაატაროს შემოწმება, თუ გაუჩნდა იმისი ეჭვი, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის სატნდარტებს. თუ ფართზე სარემონტო სამუშაოების განხორციელება ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ფართი უნდა გამოირიცხოს ჯამური ფართიდან, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი დაწესებულება, რომელიც დაიწყებს თავისი ფართის რემონტს (რაც გარდაუვალია) რემონტის პროცესში ვეღარ დააკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს მატერიალური რესურსის ნაწილში. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, ავტორიზაციის დებულებაში არსებული ჩანაწერი, რომელიც ეხება იმ ფართის გათვალისწინებას, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დაწესებულებას აქვს გარკვეული ფართი, დაიწყოს დამატებითი ფართის შექმნა და გაზრდის მომენტისათვის მიმდინარეობს რემონტი. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაწესებულება ვერ დააკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს ფართის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით აღნიშნული სწორია, მაგრამ არსებობს მეორე ლოგიკაც, დაწესებულებას ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია, მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის განცხადებით, როდესაც დამთავრდება სარემონტო სამუშაოები, დაწესებულებას მაშინ შეუძლია დაიმატოს აღნიშნული ფართი. ისეთი პრეცედენტის დაშვება, რომ ავტორიზაციის მინიჭებისას ფართი, რომელზეც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ჩათვლილ იქნეს სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, საბჭოს აუცილებლად მოუწევს, რამდენადაც, ზაფხულის პერიოდია და სარემონტო სამუშაოები უმეტესად ყველგან მიმდინარეობს. ამ მიზნებისათვის მთავარია, გაიმიჯნოს კაპიტალური და კოსმეტიკური რემონტი.

ლამა გოცირიძის განმარტებით, მიმდინარე რემონტის დროს მზიდი კონსტრუქციები არ იცვლება. დაწესებულებაში ტარდება მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი. კოსმეტიკური რემონტის მიმდინარეობის ფაქტი დადასტურა აგრეთვე ექსპერტმაც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის პოზიცია დააფიქსირა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ. მისი განმარტებით, რადგანაც ტარდება კოსმეტიკური რემონტი, შესაბამისად, არ არსებობს ფართის გაუთვალისწინებლობის წინაპირობები.



საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ზეპირ მოსმენაზე თამარ შუდრამ ისაუბრა პროფესიული განათლების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია 28 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა უნივერსიტეტი 2011-2012 სასწავლო წლისათვის აპირებს სტუდენტთა მიღების გამოცხადებას მხოლოდ 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებიც განხილულია და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 2, 25.01.2011).

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა 8 პროფესიული სპეციალიზაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: *მეხილე (II-IV საფეხური), მევენახე (II-IV საფეხური), ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი (III-IV საფეხური), ზოოტექნიკოსი (I-IV საფეხური), მეღვინე (I-IV საფეხური), რძის გადამამუშავებელი (III-IV საფეხური), ყველის მწარმოებელი (III-IV საფეხური) და აგრო ბიზნესის მწარმოებელი (IV საფეხური).*

აღნიშნული პროგრამების სილაბუსებში გვხვდება უმეტესად ის ხარვეზები, რაც აღინიშნა აკადემიური პროგრამების სილაბუსების განხილვისას. კერძოდ, მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის „მევენახე“ - სასწავლო კურსში - ენტომოლოგია, დაშვების წინაპირობად მითითებულია შემდეგი მოთხოვნა: „სასწავლო კურსის შესწავლას წინ უნდა უძღვოდეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის ფარგლებში არსებული საგნების (ბოტანიკა, ზოოლოგია, ზოგადი ბიოლოგია, უცხო ენა, ინფორმატიკა) საფუძველების ცოდნა. მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის „მევენახე“ - სასწავლო კურსში - სარწყავი მიწათმოქმედება - სწავლის შედეგში მითითებულია „თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება“.

საბჭომ ჩათვალა, რომ მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამის „მევენახე“, სასწავლო კურსში - ენტომოლოგია, წინაპირობად ზოგადი განათლების მითითება არ წარმოადგენს დარღვევას, რამდენადაც მესამე საფეხურზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება. წინაპირობის ამგვარი ფორმულირება არ გულისხმობს იმას, რომ დაწესებულება ითხოვს სრულ ზოგად განათლებას, არამედ დაწესებულება ცალკეულ საგნებში უფრო მაღალი მოთხოვნებს აწესებს.

საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული კუთხით დაწესებულების მხრიდან სტანდარტის დარღვევა არ მომხდარა.

საბჭომ იმსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.



2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

ვებგვერდზე წარმოდგენილია პროფესიული საგნობრივი პროგრამების სილაბუსები, სასწავლო გეგმები და მონაცემები შესაბამისი პროფესიული მასწავლებლების შესახებ, თუმცა ვიზიტის მომენტისათვის რეალურად აღნიშნული დოკუმენტები ვებგვერდის საშუალებით არ იყო ხელმისაწვდომი (ბმული არ იხსნებოდა).

სხდომაზე ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდი და დადგინდა, რომ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია.

საბჭომ იმსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება კონკურსის წესით, მიმართულების, დარგისა და სპეციალობების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის მხრიდან აღინიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებს სწორედ აკადემიური პერსონალი. თუმცა, ვიზიტის მომენტისათვის არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულებები აკადემიურ პერსონალთან, სადაც განსაზღვრული იქნებოდა, რომ ისინი განახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულება უფლებამოსილია, მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფ თანამშრომლებს საათები გაუნაწილოს თავისი შეხედულებისამებრ და არ არის ვალდებული, ცალკეული კურსის წაკითხვისას დამატებით დაუდოს შრომითი ხელშეკრულება.

საბჭომ იმსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსის სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, ავტორიზაციისა და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების შემთხვევაში სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა განისაზღვროს 970-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 10-წუთიანი შესვენება საბჭოს მიერ მოთათბირების მიზნით. შესვენების დასრულების შემდეგ კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნებამდე საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მან დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან მაძიებლის მიერ სტანდარტებთან შეუსაბამობები საექსპერტო ვიზიტის ეტაპისათვის აღმოფხვრილი არ იყო და მართალია არაარსებითი, მაგრამ სტანდარტებთან

შეუსაბამობები სახეზე იყო. საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა კენჭისყრის შედეგები და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება:


„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება; სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 5470-ით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 970-ით.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია



კ. სიმონია